ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

16 (10054) •28 aprili • 2014 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ჩაშლის საფრთხის წინაშე იდგა

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ხუთი საკითხი უნდა განეხილა.

პირველ საკითხად მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესყიდვების სამსახურის უფროსმა ამირან გირკელიძემ სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმაში ცვლილებები და დამატებები წარმოადგინა.

მის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1050 ლარად ელექტროძრავის ნაცვლად ელექტროტუმბო უნდა შეიძინონ; ოზურგეთის დროშისა და გერბის დასამზადებლად 1500 ლარი, ხოლო სილაურის საყანე ფართობების შემოსაღობად 4900 ლარის გამოყოფა უნდა დაედასტურებინათ.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარე **მიხეილ გოგოტიშვილი** დაინტერესდა, ბიუჯეტის რომელი მუხლიდან გამოიყოფოდა სილაურლების ყანის შესაღობი თანხა და რომელ სამუშაოს მიაკლებდნენ ამ თანხას. გამოყოფილი თანხის წარმომავლობით ,,თავისუფალი დემოკრატების“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, დეპუტატი **დიმიტრი კვერღელიძეც** დაინტერესდა.

ამირან გირკელიძეს არ ჰქონდა შესაბამისი განმარტებითი ბარათი, მან მხოლოდ ის თქვა, რომ ბიუჯეტში იყო თავისუფალი თანხა 200 ათასი ლარი, ხოლო სილაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ხვიჩა კილაძემ** ახსნა, რომ სოფლის განვითარების პროგრამით სოფ. სილაურს 25 ათასი ლარი გამოეყო, რომელიც მთლიანად ბაღის შენობის რეაბილიტაციას ხმარდება, ხოლო საყანე ფართობების შემოსაღობად თანხები არ ჰქონდათ, მომდევნო კითხვას მისი კატეგორიული პასუხი მოჰყვა: **—,,რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ფონდიდან გამოიყო ეს თანხა, არ მივიღებ არანაირ შენიშვნას და პრეტენზიას, ხალხს ყანის გარეშე ვერ დავტოვებ!“**

ამ კომენტარზე მელექედურის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ავთანდილ ხინთიბიძემ** შეახსენა საკრებულოს, თუ ასე ადვილად წყვეტდნენ საყანე ფართობის შესაღობად თანხის გამოყოფის საკითხს, რატომ არ დააკმაყოფილეს შარშან მელექედურელთა თხოვნა და არ გამოუყვეს 1000 ლარამდე თანხა?

კითხვა დასვა განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე **ირინა სავჯაიამაც:** —სოფელში ბაღი უნდა გაკეთდეს, მაგრამ საიდან მოდის ეს თანხა, საინტერესოა.

დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ** კი განაცხადა: —რატომ არ მიაწოდეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს შესაბამისი ინფორმაცია?

დეპუტატმა **დავით მდინარაძემ** კოლეგის (ხვიჩა კილაძის) უხეში ტონი არ მოიწონა და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს:—,, **,,რა საუბარია ეს, არავის არაფერს ვეკითხები და არანაირ შენიშვნას არ მივიღებ“. თქვენ ხართ საკრებულოს თავმჯდომარე და გააკონტროლეთ დეპუტატების მსგავსი ქმედებები, რა არის ეს, სოფლის კლუბია?“** სიტყვის დასრულების შემდეგ დავით მდინარაძემ სხდომა დატოვა.

დიმიტრი კვერღელიძემ მიითხოვა, რომ ეს საკითხი ამ სხომაზე აღარ უნდა მიეღოთ.

კენჭიც უყარეს, რასაც ხვიჩა კილაძის მორიგი რეაქცია და სიტყვები: —,,რამდენჯერ უნდა განიხლოთ“მოჰყვა და პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

იმის გამო, რომ სხდომის გასაგრძელებლად ქვორუმი არ იყო, **ავთანდილ სურგულაძემ** 30 წუთიანი შესვენება გამოაცხადა. როგორც აღმოჩნდა შემდეგ სხდომა მიხეილ გოგოტიშვილსაც დაეტოვებინა.

გაზეთი ,,ალიონი“შესვენებისას მელექედურის ფაქტით დაინტერესდა.

ავთანდილ ხინთიბიძე:—მართალია მაშინ საკრებულოს ავთანდილ სურგულაძე არ ხელმძღვანელობდა, მაგრამ ეს შემადგენლობა ხომ იყო. თავდაპირველად მუნიციპალიტეტიდან სიტყვიერი თანხმობა მივიღე და მელექედურელმა, 82 წლის მურმან ხინთიბიძემ საყანე ფართობების შესაღობად ბოძები დაამზადებინა. დაახლოებით 1000 ლარამდე თანხა გვჭირდებოდა. საკრებულომ უარი გვითხრა. რაღა დარჩენოდა მურმანს და საქონელი გაყიდა რომ ბოძების დამამზადებლებისთვის გაწეული შრომის საფასური გადაეხადათ.

იყო კულუარული საუბარი იმაზედ, რომ ხვიჩა კილაძე დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს სოფ. სილაურში და აღნიშნული თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტიდან მის მხარდასაჭერად იყო გამიზნული.

ნახევარი საათის შემდეგ ქვორუმი კვლავ შეიკრიბა და საკრებულოს სხდომა ჩაშლას გადაურჩა.

მერობის თორმეტივე კანდიდატი დასახელებულია

თბილისი - **დავით ნარმანია;** რუსთავი - **დავით ჯიქია**; ქუთაისი - **შოთა მურღულია;** გორი — **ზურაბ ჯირგველიშვილი**; ბათუმი — **გიორგი ერმაკოვი;** ფოთი — **ირაკლი კაკულია;** ზუგდიდი — **ირაკლი გოგოხია**; მცხეთა — **ავთანდილ ნემსიწვერიძე;** თელავი — **პლატონ კალმახელიძე**; ოზურგეთი — **ბეგლარ სიორიძე;** ახალციხე — **გიორგი კოპაძე;** ამბროლაური — **რატი ნამგალაძე.**

საინიციატივო ჯგუფების მიერ, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად წარდგენილი კანდიდატები

№60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ოზურგეთში კენჭს იყრიან ლავრენტი ბიგვავა, ალექსანდრე ცეცხლაძე, ლევან მგელაძე, გოჩა მგელაძე, ლევანი თოიძე, დავით ცეცხლაძე.

დაბა ნასაკირალი — ბესიკ ირემაძე, სოფელ ბაილეთი — პაატა კიღურაძე, ბახვი — გოჩა შარაშენიძე, ბოხვაური — თიკო ახვლედიანი, კახა კუტუბიძე, გურიანთა — მაია ზოიძე, ნატო გულბიანი, დვაბზუ — ქეთევან ჭეიშვილი, ვაკიჯვარი — ნონა მდინარაძე, თხინვალი — მერაბ ხომერიკი, კონჭკათი — ნოდარ სირაძე, ლიხაური — თამაზ სალუქვაძე, მაკვანეთი — გერმანე თოიძე, მელექედური — კახა ღლონტი, მერია — გენადი მესხიძე, ზაზა ბაქანიძე, მთისპირი —ოთარ გაგუა, ავთანდილ მახარაძე, ამირან მახარაძე, ნაგომარი — იური წიქარიძე, ივანე კიღურაძე, გრიგოლ გოგიბერიძე, ჯემალ თავართქილაძე, ალექსანდრე გოგოძე; სოფელ ოზურგეთი — კახა ქუტიძე, სილაური — ხვიჩა კილაძე, (კანდიდატი); შემოქმედი — თედორე ბურჭულაძე, ხვიჩა წულაძე, ცხემლისხიდი — ლალი სიჭინავა, ძიმითი — თეიმურაზ თავდიშვილი, ჭანიეთი — ვლადიმერ სურგულაძე, ჯუმათი — მერაბ ბერიძე.

ზვიად თენიეშვილის ინფორმაციით ხვიჩა კილაძის და რამდენიმე სხვა კანდიდატის მხარდამჭერთა სიების განხილვა მიმდინარეობს.

სოფ. ასკანაში ანთიმოზ ჩხაიძის სახელობის მარნის მშენებლობა დაიწყო

ნუგზარ ასათიანი

წელს, მარტის თვეში სოფ. ასკანაში ბიზნესმენმა ზურაბ ჩხაიძემ (შპს ,,ახალური ტრადიციული მეღვინეობა“) მრავალფუნქციური ნაგებობის ,,როიალ ასკანას“ მშენებლობა დიაწყო. ეს პროექტი შპს ,,უნივჯგუფმა“(პროექტის ავტორი მარიკა ქურთიშვილი) შეასრულა, ხოლო მშენებლობას სამშენებლო ორგანიზაცია ,,ჯონიო 2003“ ასრულებს.

თამაზ ტყეშელაშვილი, ,,ჯონიო 2003“ ხელმძღვანელი:— 2700 კვ. მეტრის საერთო ფართზე აშენდება უნიკალური კომპლექსი, სადაც განთავსდება ღვინის მარანი, მუზეუმი, ტურისტული ბაზა და ა. შ. ოგეგმება ვერტმფრენის დასაჯდომი მოედნის მშენებლობაც, რაც ტურისტებს საშუალებას მისცემს ეწვიოს ამ ლამაზ მხარეს. მიუხედავდ იმისა, რომ არაერთ მშენებლობას ვხელმძღვანელობდი, მათ შორის მთაწმინდის პარკის მშენებლობასაც, ასეთი უნიკალური კომპლექსი საქართველოში ჯერ არ აშენებულა. მშენებლობაზეც და შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. ეს კი, სოფ. ასკანას მიგრაციიდან გადარჩენს.“

თუ რა მოცულობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, ბიზნესმენი ზურაბ ჩხაიძე გვპასუხობს, რომ აქ 3 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. მართალია მშენებლობა გრაფიკით 216 წელს უნდა დასრულდეს, მაგრამ თუ მშენებლები ამ ტემპით იმუშავებენ, შესაძლოა წელიწადნახევარში დასრულდეს.

გაზეთმა ,,ალიონმა“გასულ წლის შემოდგომაზე მკითხველებს ვრცელი ინტერვიუ მიაწოდა გურიაში განსახორციელებელ პროექტებზე.

იგი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მათი კომპანიის ისტორია XIX საუკუნის ბოლოდან იწყება, როცა 1880 წელს მისმა დიდმა ბაბუამ, ანთიმოზ ჩხაიძემ, გურიის ერთ-ერთ უალამაზეს სოფელ ასკანაში ვენახი მოაშენა და საკუთარ მარანში მამაპაპური

▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

28 აპრილი	29 აპრილი	30 აპრილი	1 მაისი	2 მაისი	3 მაისი	4 მაისი
მზე, ღრუბელი	წვიმა	წვიმა	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	ღრუბელი	ღრუბელი
+16+27	+14+24	+12+23	+14+26	+12+21	+13+18	+14+20
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

სოფ. ასკანაში ანთიმოზ ჩხაიძის სახელობის მარნის მშენებლობა დაიწყო

ტრადიციული მეთოდით განაგრძო ღვინის დაყენება.

გოჩას, ზურაბის, ჯიმშეთის მამა –ზაური ასკანიდანაა, ხოლო დედა ციალა მეპურიშვილი კახეთის უძველესი სოფლიდან ველისციხიდან. ძმებს მუსიკალური ნიჭიც აღმოაჩნდათ და ერთმანეთს შეერწყა გურული პოლიფონია და კახური „მრავალჟამიერი.“,„ჩხავერისა“და „ალადასტურის“ გემო და კახური ღვინოების ხიბლი.

20 წლის წინ პირველი ღვინო ჰოლანდიაში ჩამოასხეს. 1998 წელს ზურაბმა და უფროსმა ძმამ გოჩამ კომპანია „ასკანელი ძმები“დააარსეს, ხოლო 2001 წელს ზურაბმა საკუთარი კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ჩამოაყალიბა. კომპანიამ ღვინის ბაზარს პირველ ეტაპზე ნამდვილ თიხის ჭურჭლებში ჩამოსხმული ღვინოები შესთავაზა. თითოეული ჭურჭელი ორიგინალური დიზაინით და ფორმით გამოირჩეოდა. შემდეგ მათ იტალიურ ბოთლებში დაიწყეს ღვინის ჩამოსხმა. ამას მოჰყვა „ქართული საოჯახო ღვინო, ღვინიდან გამოხდილი სპირიტს წარმოება. შემდეგ კონიაკის წარმოება. სპირტს მუხის კასრებში –„იბერიკაში“აძველებდნენ და მათმა კონიაკმა „ძველი კახეთი“დიდ წარმატებას მიაღწია. პროდუქციის ექსპორტი 15 ქვეყანაში ხორციელდება.

–მაგრამ „ჩხავერი?“

–ჩვენი გვარი ვაზის ჯიშთან პირდაპირაა დაკავშირებული. გვარში ფუძე „ჩხა“ გვაქვს, რაც ვაზს უკავშირდება. აქ, დიდი ბაბუას, ანთიმოზ ჩხაიძის სახელობის მარნის მშენებლობა დავიწყეთ. აქ იქნება გურული მეღვინეობის მუზეუმი, სადაც გურული ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინოების წარმოება აღორძინდება, ასევე დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის შესახებ მასალები მოვაგროვოთ. ფერმერებს კი დავეხმაროთ უძველესი ჯიშების მოშენებაში.

–რა ფორმით იქნება ეს დახმარება?

–წელს შემოდგომაზე 50 ათას „ჩხავრის“, 20 ათას „ცოლიკაურის“ ნერგებს დავურიგებთ, ოზურგეთელ, ჩოხატაურელ, ქედელ გამოცდილ მევენახეებს. შემდგომში სხვა ჯიშების ნერგებსაც შემოვიტანთ.ხოლო იმ ფერმერებიდან, რომლებიც გურული ვაზის ჯიშებს აშენებენ, შევისყიდით ამ ნერგებს და მოსახლეობას უფასოდ გადავცემთ. სამ წელიწადში მოყვანილ ყურძენს ხელშეკრულების თანახმად ჩვენთან მოიტანენ და საბაზრო ფასებში მივიღებთ. ასევე მივიღებთ სხვა ჯიშის ყურძენსაც.

–რა ინფრასტრუქტურა შეიქმნება ასკანაში.

–მშენებლობის დასრულების პარალელურად შენდება ახალი წყალსადენის სისტემა ასკანასა და მიმდებარე სოფლებში მთისპირში, მზიანში, მშვიდობაურში. გაკეთდება ასფალტ-ბეტონის გზაც. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო გურიის გუბერნატორს გიორგი ჩხაიძეს, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კავაჭანტირაძეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე შარაშენიძეს ინფრასტრუქტურული პროექტის დამტკიცებაში გაწეული წვლილისათვის.

წელსაც, გაიმართება სახალხო დღესასწაული „ასკანობა,“ რომელიც სოფ. „ასკანაში“ 2001 წელს, უფლის ამაღლების სახელობის ეკლესიის გახსნას უკავშირდება.

ახლა კი ზურაბ ჩხაიძე, ძმებთან ერთად ხილის გადამამუშავებელი ქარხნებისა და ღვინის მარნის კოორდინირებულ პროექტზე მუშაობენ.

ღმერთმა ქნას, ასეთი გულშემატკივრები რეგიონის სხვა სოფლებსაც გამოუჩნდნენ.

ნინო თოიძის საზოგადოება შეიქმნა

–ნინო თოიძის საზოგადოების შექმნა მას შემდეგ გადავწყვიტე, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის მიერ მოთხოვნილი იქნა ცნობა ნინო თოიძის შესახებ, რათა წმ. გიორგის ორდენზე წარედგინათ. ცნობისთვის შესაბამის დაწესებულებაში მივედით ოზურგეთში.

–რომელი 9 აპრილის –გვითხრეს ამ დაწესებულებაში. აღნიშნა ნინო თოიძის დისშვილმა ირმა სალუქვაძემ.

ნინო თოიძის საქველმოქმედო საზოგადოება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შეიქმნა და მას ნინოს ბიძაშვილი ზურაბ ვაშაყმაძე ხელმძღვანელობდა. საზოგადოება ეწეოდა საქველმოქმედო და საგანმანათლებლო მუშაობას. გამოსცემდა 16 გვერდიან ბიულეტენს „ლეხური“.

საზოგადოება გვერდით ედგა ლიხაურის ღვთისმშობლის და აჭის წმ. გიორგის ეკლესიებს.

წლების მანძილზე არ მომკვდარა იდეა, სოფ. ლიხაურში დადგმულიყო 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ნინო თოიძის საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ მხატვარ ვახტანგ მამეიშვილის პროექტით.

23 აპრილს ლიხაურის კულტურის სახლში ნინო თოიძის საზოგადოების ხელახალი დამფუძნებელი კრება გაიმართა.

ეკრანზე 9 აპრილის ამსახველი კადრები აჩვენეს. ანთეს სანთლები და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას.

სიტყვებით გამოვიდნენ: ნინო თოიძის დისშვილი ირმა სალუქვაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსი გიორგი ინწკირველი, გაზეთ „ალიონის“რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ სალუქვაძე, ეკვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმის დირექტორი რუსლან ურუშაძე, კახა, მინდია კეჭაყმაძეები, ივანე ვაშაყმაძე.

აირჩიეს საზოგადოების გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარედ ირმა სალუქვაძე აირჩიეს.

ნინო თოიძის საზოგადოების თავმჯდომარე ირმა სალუქვაძემ მედიისათვის პრეზენტაცია ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართა.

სამი რეჟისორის ხედვა განახლებულ დადგმაში

ნინო ნიკოლაიშვილი

24 აპრილს ოზუეგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დარბაზში განახლებული სპექტაკლის ჩვენება გაიმართა.

წლების წინ ა. მითაიშვილის სცენარზე „ჭკვიანი გიჟები“,რომელიც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გამოყენებით შეიქმნა, რეჟისორმა შალვა ურუშაძემ დაიწყო მუშაობა. როგორც პიესის ავტორმა ჩვენთან საუბარში წინა ჩვენებისას აღნიშნა, იდეაც სწორედ თავად შალვასვე ეკუთვნოდა. თუმცა რეჟისორი მალევე გარდაიცვალა და სპექტაკლზე მუშაობა შოთა ბაბილოძეს დაევალა. სახელწოდება „გამოდი სულო სინათლეზე, ანუ ჭკვიანი გიჟები, რეჟისორისა და სცენარის ავტორის ერთობლი შეთანხმების შედეგია. მაშინ სპექტაკლი წარმატებით იდგმებოდა არა მხოლოდ ოზურგეთში, არამედ ქ. თბილისში. სამწუხაროდ რეჟისორი შოთა ბაბილოძეც გარდაიცვალა და წელს, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ განახლებული დადგმა შესთავაზა მაყურებელს. აღსანიშნავია, რომ განახლებულ დადგმაში დამდგმელმა რეჟისორმა შეინარჩუნა გარდაცვლილი კოლეგების ხედვა და მისეული შტრიხების შემატებით, შემოქმედებით კოლექტივთან ერთად, კვლავ დატვირთა მაყურებელი ემოციებით. უცვლელია დადგმის შემოქმედებითი კოლექტივი, მხოლოდ ნოდარას, სოსოიას, ზურიკელას, ბაჩანას როლში მსახიობი გიორგი დოლიძეა წარმოდგენილი. წინა სპექტაკლში ამ როლოს შემსრულებელი ალექსანდრე ლომიძე დიდროს როლში გვევლინება. ყველა პერსონაჟი კარგად მოირგეს მსახიობებმა და საინტერესო სახეები შექმნეს. კვლავ განუმეორებელი იყო ბება კიკვაძის გიჟი მარგო.

სპექტაკლს წითელ ხაზად გასდევს ბეჟანას, პართენა წვერას, დიდროიას, გიჟი მარგოს მიერ ნათქვამი სიმართლე, მათი თვალით დანახული ადამიანები, მათში კეთილისა და ბოროტის შეცნობა, მათგან მომდინარე უდიდესი სიყვარულის, ერთგულების განცდა და რაც მთავარია, მათი შეფასებით, კეთილს კეთილი რომ ჰქვია და ბოროტს - ბოროტი. ისინი არ თამაშობენ, იმასვე ფიქრობენ, რასაც ამბობენ და გამოხატავენ, განსხვავებით „ჭკვიანთაგან“. მერე მათში იცვლება რაღაც, თითქოს ყველაფერი ლაგდება, შიგნით კვდებიან და გარეთ გამოდიან. სხეულს რომ არ გაუჭირდეს მათი სულების ტარება, რადგან ცოდვებით დამძიმებული სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული. ისინი ლამაზად მიდიან ამ ცხოვრებიდან, მიუხედავად იმისა, არ ემეტებათ წუთისოფელი დასატოვებლად, უფალსაც ბევრს სთხოვენ, აჩუქოს სიცოცხლე, თუმცა უფალმა უკეთ იცის, რა ჰქმნას. ცრემლი და უდიდესი სინანული რჩება გიორგი დოლიძის პერსონაჟთან, ცხოვრებაც ხშირად ცრემლია და განცდა, ხან სიხარულის, ხანაც ტკივილის. სცენარის ბოლოს მეგობრების ხმა ჩაესმის მას, თითქოს ზეციდან მოძახილი. ისინი უხმობენ მეგობარს.

კოლეჯ „ჰორიზონტში“ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრმა ფერმერებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის თემა გურული ვაზის ჯიშების მოძიება, გაშენება, ღვინის დაყენება-დავარგება, დაგემოვნება იყო.

რეგიონის ფერმერებს გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, საზოგადოების, მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა **გიგა ხარაბაძემ** გახსნა და ისაუბრა მათ მიერ განხორციელებულ პროექტებზე.

ამ ორგანიზაციის სპეციალისტმა, „გურული ვაზის“პრეზიდენტმა **ანდრო ვაშალომიძემ** აღნიშნა, რომ გურია ადრე მევენეხეობა-მეღვინეობის ქვეყანა იყო. პირველად გურული ღვინო უცხოეთში იანეულის მამულიდან იაკობ მარმა გაიტანა.

მან დაასახელა ზოგიერთი ღვინის სახეობა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაგ. „საჯეევახოს“ღვინო, რომელიც მტევანდიდის და ჯანის კუპაჟი იყო.

დღეს გურიაში მევენახეობა უფრო ჩოხატაურის რაიონშია შემორჩენილი. აქ არის „ჩხავერის,“„ალადასტურის“ნარგავები, არის იმერული „ცოლიკაურის“ზვრები.

ანდრო ვაშალომიძემ 1996 წლიდან 40-მდე გურული ვაზის ჯიში მოიკვლია. შემდეგ მათ გამრავლებას ჯიღაურაში, ვაზისა და ხეხილის ნერგების ეროვნული ცენტრის დახმარებით ახდენდა. მან თანამოაზრეებთან (ნუგზარ სარჯველაძე, ზურაბ მენაბდე) ერთად შეძლო ამ ჯიშების გაშენება, ხოლო უკვე მესამე წელია იგი მოსახლეობაში უფასოდ არიგებს „საკმიელას“და სხვა ჯიშის ნერგებს.

მანვე დააყენა საკითხი ძველი გურული მარნების აღდგენაზე, რათა „ქვევრი-კაცობრიობის გენიალური ქმნილება“ (ანდრო ვაშალომიძის სიტყვებია) დაბრუნდეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ავთანდილ სურგულაძემ** აღნიშნა, თუ რა დიდ საქმე არიან შეჭიდებულნი „ასკანელი ძმები.“ თუ როგორ დიდ პროექტს ახორციელებს სოფ. ასაკაში ბიზნესმენი ზურაბ ჩხაიძე. იგი წელს მოსახლეობაში უფასოდ 50 ათას ძირ „ჩხავერის,“ 20 ათას ძირ „ცოლიკაურის“ნერგებს დაარიგებს.

ფერმერებთან შეხვედრა

გაზეთი „ალიონი“

მანვე ზურაბ მენაბდის კითხვაზე უპასუხა და აღნიშნა, რომ რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტი ერთიანი დაფინანსებით დიდ სანერგეს გააკეთებენ, სადაც ვაზის ჯიშებსაც დაეთმობა სათანადო ადგილი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **აკაკი ღლონტმა** ისაუბრა ვაზის ჯიშების გაშენების პირობებზე, თუ რომელ ტერიტორიებზეა მისი გაშენება მიზანშეწონილი.

ლიხაურელმა ფერმერმა **ბესო მჟავანაძემ** აღნიშნა, ბიოსასუქების უპირატესობაზე სოფლის მეურნეობაში, „ორგანიკას“ სიკეთეზე.

მამა მათემ (გორდელაძე) აღნიშნა, რომ სმის კულტურა არ არის და ზნეობაა დაცემული.

–ღმერთმა შეგვაძლებინოს ყველაფერი ზნეობრივად გაგვაკეთებინოს -აღნიშნა მამამ.

სხვადასხვა თემებზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს **ვასილ ხომერიკმა, რეზო დოლიძემ, კახა ვასაძემ, ავთანდილ თავართქილაძემ, ვახტანგ მამეიშვილმა.**

შემდეგ მოწვეულთ საინტერესო პროცესი ელოდათ გურული ვაზის ღვინოების დაგემოვნების.

ანდრო ვაშალომიძეს მედალოსანი **„საკმიელას,“„ანდროულის,“„ათინაურის“გარდა თეთრი „ჩხავერის“**ღვინოც ჰქონდა წარმოდგენილი; **აკაკი ღლონტს** ოჯახის „კამური“, ხოლო **ბესო მჟავანაძეს** ლიხაურის **„ჩხავერი.“„ალადასტური“** წარმოადგინა შემოქმედელმა **ლუკა კეჭაყმაძემ,** ხოლო გოგიეთელმა **ჯანვერდი ცეცხლაძემ „გოგიეთის ჩხავერი.“**„გოგიეთის ჩხავერმა“სტუმართა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

–მაღლა გოგიეთში ბაბუა პეღასის გარდა ასამდე ოჯახი ცხოვრობდა. აქ ძირითადად „ჩხავრის“ვაზი ჰქონდათ გაშენებული და ღვინოს ქვევრებში აყენებდნენ.

გასული საუკუნის 30-იან წლებში მოსახლეობა უფრო დაბალ ზოლში გადმოიყვანეს და იქ ჩაის პლანტაციების გაშენებას შეუდგნენ. მიწის შემადგენლობიდან გამომდინარე, იქ ვაზი უფრო ხარობდა. ჩაის პლანტაციების გაშენებისას ხშირად ხვდებოდათ თურმე ძველი ქვერები, რომელთა ნამტვრევები ახლაცაა იქ, გავერანებულ ჩაის პლანტაციებში. ახლაცაა შემორჩენილი ძველი ხეები (რომლებიც მოჭრას გადაურჩა), „ჩხავრის“ძველი ნერგებით. ახლა იქედან წამოღებული ნერგი დარგო მამაჩემმა ნესტორმა ამჟამინდელი საცხოვრისის ეზოში და იქაც კარგი მიკროკლიმატური პირობები დარჩა „ჩხავრისათვის.“-აღნიშნა მან.

საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №26

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით:

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის);

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება („საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილებას საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია, გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

24 აპრილი, 2014 წელი

დანართი

№	საარჩევნო უბანი	საარჩევნო უბნის მისამართი	საარჩევნო უბანში მდებარე ობიექტები, რომლებზეც შესაძლებელია სააგიტაციო მასალების განთავსება
1	№60/01 ზვანი-1	ქ. ოზურგეთი	– კოსტავას ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი (სემინარიის წინ)
2	№60/02 ზვანი-2	ქ. ოზურგეთი	– სპორტის სასახლე - გარე განათების ბოძები – რაგბის სტადიონთან არსებული შენობა
3	№60/03 რ\ც\საავადმყოფო	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის (ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე) ღობე – ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე მდებარე გარე განათების ბოძები
4	№60/04 მოიდანეხე-1	ქ. ოზურგეთი	– კულტურისა და დასვენების ბაღის ღობე - გარე განათების ბოძები – ერისთავის ქუჩაზე მდებარე კედელი
5	№60/05 მოიდანახე-2	ქ. ოზურგეთი	– გარე განათების ბოძები
6	№60/06 ცენტრი-1	ქ. ოზურგეთი	- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღის (გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩაზე) ღობე
7	№60/07 ცენტრი-2	ქ. ოზურგეთი	– სტადიონის ღობე (რუსთაველის და ფარნავაზ მეფის ქუჩები) - გარე განათების ბოძები – ყოფილი სარძევეს შენობა
8	№60/08 სერი	ქ. ოზურგეთი	– №2 საბავშვო ბაღის ღობე – გარე განათების ბოძები
9	№60/09 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	– აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები
10	№60/10 ექადია	ქ. ოზურგეთი	– თაყაიშვილის ქუჩაზე გარე განათების ბოძები
11	№60/11 ლაითური-1	დაბა ლაითური	– ბავშვთა ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელი – მინი მოედნების ღობე
12	№60/12 ლაითური-2	დაბა ლაითური	– სარიტუალო სახლი – ბავშვთა ბაღის ღობე – მგზავრთა მოსაცდელი
13	№60/13 ნარუჯა-1	დაბა ნარუჯა	- ყოფილი კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
14	№60/14 ურეკი	დაბა ურეკი	– კულტურის სახლი – გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორია
15	№60/15 წვერმადალა	დაბა ურეკი	– გარე განათების ბოძები – მინი მოედანის ღობე
16	№60/16 ნასაკირალი	დაბა ნასაკირალი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
17	№60/17 ასკანა	ასკანის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – ბავშვთა ბაღის ღობე
18	№60/18 მზიანი	ასკანის თემი	– კლუბის შენობა – საბავშვო ბაღი
19	№60/19 ბაილეთი	ბაილეთის თემი	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – მგზავრთა მოსაცდელები 7 (შვიდი) ერთეული – მინი სტადიონები – გარე განათების ბოძები
20	№60/20 ბახვი	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი
21	№60/21 ქვედა ბახვი	ბახვის თემი	– სკვერის ღობე ცენტრში – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
22	№60/22 მშვიდობაური	ბახვის თემი	– კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი
23	№60/23 ბოხვაური	ბოხვაურის თემი	– ყოფილი კლუბის შენობა – გარე განათების ბოძები
24	№60/24 გურიანთა	გურიანთის თემი	– ამბულატორიის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – მინი სტადიონის ღობე – გარე განათების ბოძები
25	№60/25 დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი სოფ. დვაბზუს ცენტრში – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
26	№60/26 გალმა დვაბზუ	დვაბზუს თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
27	№60/27 ვაკიჯვრი	ვაკიჯვრის თემი	– სოფელ ფამფალეთში მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში
28	№60/28 ფამფალეთი	ვაკიჯვრის თემი	– მინი მოედნები – გარე განათების ბოძები
29	№60/29 თხინვალი	სოფელი თხინვალი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი სტადიონი
30	№60/30 კონჭკათი	კონჭკათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – ამბულატორიის შენობა – სააფიშე დაფა – მინი მოედანი
31	№60/31 ლიხაური-1	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – ამბულატორია – მინი სტადიონი – გარე განათების ბოძები
32	№60/32 ლიხაური-2	ლიხაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
33	№60/33 მაკვანეთი	მაკვანეთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში ჭადის უბანი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – კულტურის სახლი – ბავშვთა ბაღი
34	№60/34 მელექედური	სოფელი მელექედური	– მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – ბავშვთა ბაღი
35	№60/35 მერია	მერიის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 3 – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედანი
36	№60/36 ნადობილევი	მერიის თემი	– ბავშვთა ბაღის შენობა – სპორტული მოედანი – მგზავრთა მოსაცდელი
37	№60/37 ხვარბეთი	მერიის თემი	– ყოფილი ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი – კლუბი
38	№60/38 მთისპირი	მთისპირის თემი	– კულტურის სახლი – ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა

38	№60/38 მთისპირი	მთისპირის თემი	– კულტურის სახლი – ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა
39	№60/39 ნაგომარი	ნაგომრის თემი	– კულტურის სახლის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი ცენტრში – სტადიონის ღობე – გარე განათების ბოძები
40	№60/40 ქვ. ნატანები-1	ნატანების თემი	– საბავშვო ბაღი – ამბულატორია – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინები
41	№60/41 ქვ. ნატანები-2	ნატანების თემი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
42	№60/42 ზ. ნატანები	ნატანების თემი	- საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
43	№60/43 სოფელ ოზურგეთი	სოფელ ოზურგეთი	– საბავშვო ბაღის შენობა – მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
44	№60/44 სილაური	სილაურის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
45	№60/45 შემოქმედი	შემოქმედის თემი	– სოფელ გომის კლუბი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
46	№60/46 გოძი	შემოქმედის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
47	№60/47 წითელმთა	შემოქმედის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები
48	№60/48 შრომა	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 5 (ხუთი) ერთეული – სპორტული დარბაზი – საფიშე დაფა – საყრდენი კედელი – გარე განათების ბოძები
49	№60/49 ხრიალეთი	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები - საბავშვო ბაღი
50	№60/50 ცხემლისხიდი	ცხემლისხიდის თემი	– ყოფილი კლუბის შენობა – მგზავრთა მოსაცდელი
51	№60/51 ბაღდადი	ცხემლისხიდის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – მინი მოედანი
52	№60/52 ძიმითი	ძიმითის თემი	– საბავშვო ბაღი – მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – ადმინისტრაციული შენობის ეზოს ღობე – საბავშვო ბაღის ღობე – მინი სტადიონის ღობე
53	№60/53 ჭანიეთი	ჭანიეთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები – სპორტული მოედნის ღობე
54	№60/54 ჯუმათი	ჯუმათის თემი	– მგზავრთა მოსაცდელი 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონები
55	№60/55 ცენტრი-3	ქ. ოზურგეთი	– სასტუმრო „გურია“ – აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელი
56	№60/56 ლაშე-1	ქ. ოზურგეთი	- მგზავრთა მოსაცდელი - გარე განათების ბოძები
57	№60/57 ანასეული	ქ. ოზურგეთი	– საბავშვო ბაღი – გარე განათების ბოძები – მინი სტადიონი
58	№60/58 ნარუჯა-2	დაბა ნარუჯა	– ყოფილი კულტურის სახლი – მგზავრთა მოსაცდელი – გარე განათების ბოძები – საბავშვო ბაღი
59	№60/59 ნასაკირალი-2	დაბა ნასაკირალი	– მგზავრთა მოსაცდელი – ბავშვთა ბაღი – მინი მოედანი
60	№60/60 გურიანთა-2	გურიანთის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 3 (სამი) ერთეული – გარე განათების ბოძები
61	№60/61 ქვ. ნატანები-3	ნატანების თემი	– გარე განათების ბოძები – მგზავრთა მოსაცდელები 2 (ორი) ერთეული
62	№60/62 შრომა-2	შრომის თემი	– მგზავრთა მოსაცდელები 4 (ოთხი) ერთეული – გარე განათების ბოძები

განკარგულება №27

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 103-ე მუხლის, 106–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (თან ერთვის) გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 55-57-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

ცნობა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

დადგენილების მიღების ვადაა 2014 წლის 21 მაისი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ **2014 წლის 14 მაისამდე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. №1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული. (პასუხისმგებელი პირი პაატა ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი. ტელ: 27–55–20.)

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის 2 დადგენილებაში (სსმ V, 7,06/08/2010წ.) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების 131-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 131. საკრებულოს წევრის ანგარიში

1. საკრებულოს წევრი (მათ შორის, საკრებულოს თანამდებობის პირიც) ვალდებულია, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის და საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშის ფორმის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს ანგარიში ამომრჩევლებს, აგრეთვე უპასუხონ ანგარიშის განხილვისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

2. საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია ყოველი წლის არა უგვიანეს 31 იანვრამდე გამოსცეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - ბრძანება საკრებულოს წევრის (მათ შორის, საკრებულოს თანამდებობის პირის) მიერ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის შესახებ.

3. პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომის დარბაზში, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა კი - შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო დაწესებულების (მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ადმინისტრაციული შენობა, სკოლა, კულტურის სახლი და ა.შ) დარბაზში.

4. საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებისთვის ანგარიშის ჩაბარებას ესწრება საკრებულოს თავმჯდომარე და/ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე საკრებულოს იმ ფრაქციის თავმჯდომარე, რომელ ფრაქციასაც წარმოადგენს საკრებულოს წევრი.

5. საკრებულოს აპარატი ვალდებულია საკრებულოს წევრის ანგარიშის სრული ტექსტი, ასევე ინფორმაცია ანგარიშის წარდგენის დღის, ადგილისა და დროის შესახებ გამოაქვეყნოს ამ დებულების 135-ე მუხლით დადგენილი წესით, ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

6. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

7. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომას ესწრებიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ან მუნიციპალიტეტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები, ასევე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირები.

8. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომაში მონაწილე ამომრჩევლებს ეძლევათ საშუალება გამოთქვან თავის შენიშვნები და წინადადებები და შეაფასონ საკრებულოს წევრის საქმიანობა.

9. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

10. საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და ინახება საკრებულოს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართი მ²	ძირ. შენობის ფართი მ²	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	"ბე" (ლარი) 30%	"ბიჯი" (ლარი) 5%	მონაწილის ბილეთის ფასი	მიწის სარეგისტრაციო ნომერი
1.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი გურიის ქ.	57 კვ.მ.	–––––	7500	2250	375	30	26.26.48.087
2.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ოზურგეთი სოფ.ნატანები.	6358 კვ.მ.	----------	158000	47400	7900	30	26.01.45.062

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს (მოძრავი ქონება)

№	დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სახელმწიფო ნომერი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი) 30 %	„ბიჯი" (ლარი) 5% %	მონაწილეობის ბილეთის ფასი
1.	VAZ 213	2007	BBQ 848	2700	810	135	20
2.	VAZ 21214	2005	KLK 551	1800	540	90	20
3.	VAZ 21213	2004	BBQ 847	1500	450	75	20
4.	VAZ 21213	2004	GGT 733	1000	300	50	20
5.	VAZ21213	2004	DWD 858	600	180	30	20

საუქციონო პირობები:

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.

ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართი მ²	ძირ. შენობის ფართი მ²	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	"ბე" (ლარი) 30%	"ბიჯი" (ლარი) 5%	მონაწილის ბილეთის ფასი	მიწის სარეგისტრაციო ნომერი
1.	შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი გურამიშვილის ქ.	687 კვ.მ.	100 კვ.მ.	6774	2032	339	30	26.26.56.057
2.	შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ოზურგეთი სოფ. მერია	4091 კვ.მ.	1524,6 (დანგრეულია)	8238	2471	412	30	26.05.38.021

საუქციონო პირობები:

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.

ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

აუქციონში მონაწილეობა:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. **განცხადება;**
2. **„ბე"- ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
3. **მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
4. **პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**
5. **ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;**
6. **სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)**

— აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება

— „ბე"-ს და მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე - ა/ნ 300663205

— დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ კომისიაში"

მისამართი. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

— აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 2014 წლის 28 აპრილიდან - მოძრავ ქონებაზე 5 მაისის 12 საათამდე, ხოლო უძრავ ქონებაზე 2014 წლის 14 მაისის 12 სთ-მდე.

— **აუქციონი ჩატარდება - მოძრავ ქონებაზე 2014 წლის 5 მაისს 14 საათზე, ხოლო უძრავ ქონებაზე 2014 წლის 14 მაისს 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.**

— **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი კომისია" ტელ: 895908977, 895305033, 895906305.**

აპარატში.

11. საკრებულოს აპარატი საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებისთვის ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარების თაობაზე ინფორმაციას აწვდის საკრებულოს უახლოეს სხდომას. საკრებულო, კენჭისყრის გარეშე, ცნობად იღებს აღნიშნულ ინფორმაციას.“

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

განკარგულება №28

„ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 103-ე მუხლის, 106–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

2. „ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (თან ერთვის) გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 55-57-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

ცნობა

„ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

დადგენილების მიღების ვადაა 2014 წლის 21 მაისი.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა №39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ **2014 წლის 14 მაისამდე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. №1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული. (პასუხისმგებელი პირი პაატა ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი. ტელ: 27–55–20.)

ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა 39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონისთვის სახელის მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, (მოედნების, სკვერების, ბულვარებისათვის) სახელწოდების მინიჭების, ნუმერაციისა და მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 16 მაისის 18 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ქ.ოზურგეთში რუსთაველის ქუჩა 39-ში მდებარე ცენტრალური სტადიონს მიენიჭოს კოტე გოგატაძის სახელი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულება №29

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოხვაურის თემში მდებარე საჯარო სკოლისთვის გია გოგუაძის სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 103-ე მუხლის, 106–ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოხვაურის თემში მდებარე საჯარო სკოლისთვის გია გოგუაძის სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოხვაურის თემში მდებარე საჯარო სკოლისთვის გია გოგუაძის სახელის მინიჭებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და ცნობა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ (თან ერთვის) გამოქვეყნდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 55-57-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. ეთხოვოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოხვაურის თემში მდებარე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინონ თავისი მოსაზრებები და წინადადებები.

4. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

გახსენება

ნუკრი თალაკვაძე

ისევ გაზაფხულდა, ისევ დადგა აპრილი – ვისთვის, ლამაზი და აყვავებული, ჩემთვის კი მწუხარე, არადა, როგორ გვიყვარდა აპრილი, შენი ერთადერთი შვილის, ნათიას ამქვეყნად მოვლენის თვე... შენი ნათია, რომლისთვისაც ჭკუა გეკარგებოდა, ბევრი თვისებებით გგავს შენ. დღეს ის აძლიერებს ჩვენს ოჯახებს.

გადის წლები და უსაშველოდ გვტკივა უშენობა... წლებმა უშენობა კი არ შეგვიმსუბუქა, პირიქით, აუტანელი გახადა. 11 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, როცა ცა ჩამოიქცა, ვარსკვლავებს მოწყდა ნუკრი თალაკვაძის ვარსკვლავი და უკუნეთმა შთანთქეს. შენმა არყოფნამ ფრთა ჩამომატეხა და დიდ გასაჭირში ჩამაგდო. ჩემი ტკივილი ჩემშია, ხშირად ვერც ვამბობ როგორ „მიჭირს.“ ეს ისეთი ძლიერი ტკივილია, მუდმივი, გაუყუჩებელი და უიმედო... შენ ხომ ჩვენს ოჯახს სიცოცხლეს ულამაზებდი. ახლა? შენი დებისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა, მათი ყოველი დღე ტკივილიანია...ვერაფერმა დაგაჩოქა და წაგაქცია, ვაჟკაცურად გადალახე ცხოვრებისეული ყველა სიძნელე, არაკაცური მოქცევაც-კი, მხოლოდ ულმობელი სიკვდილი მოგერია. მაგრამ ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია, შენს მიერ განვლილი მთელი გზა სითბო, სიყვარული, კაცურ-კაცობა საზღაურია იმისა, რომ კვლავ ჩვენს გვერდით გიგულებთ და გვახსოვდეთ, მაგრამ მწარეა რეალობა–უფალსაც რჩეული უნდა.

ჩვენთვის უკვდავი ხარ, შენი კეთილი გულით. ალალმა, ყველასათვის მოსიყვარულემ, 52 წლის ასაკში ზეციური მარადისობის კარი შეაღე.

ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის. იწვის და იღვენთება შენს სახელზე ანთებული სანთლები, ღმერთთან მიაქვს ჩვენი საევდრებელი: უფალო ნათელში ამყოფე ჩვენი ნუკრის, „კამფეტა ბიძიას“ (ასე გეძახდნენ ჩვენი უბნის პატარები) სული.

შენი **ლია.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის **ლილი ცეცხლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შპს ადამ ბერიძის სახელობის ანასეულის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო, ფატულა მამეიშვილებს დედის **ლეილა ავალიანი-მამეიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე